



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 50

ქ. თბილისი

08/02/2017

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკურ მდივანსა და თავმჯდომარის
მოადგილეებს შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი
ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების
შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე საკოორდინაციო
უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის,
„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების
მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის
საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულების -საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
(შემდგომში - დეპარტამენტი) თავმჯდომარის მოადგილე-ტექნიკურ მდივანსა და
თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა
და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი
დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე
კოორდინაცია განისაზღვროს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის-ტექნიკური მდივნის
ნუგზარ გასვიანის საკოორდინაციო პროექტებია:

ა.ა) იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ
დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის
გაუმჯობესების პროექტი (EWHIP);

ა.ბ) იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მე-2 პროექტი (დამატებითი დაფინანსება);

ა.გ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მე-4 პროექტი (EWHIP4);

ა.დ) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებული სადახლო - ბაგრატაშენის ხიდის პროექტი;

ა.ე) არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის მიერ დაფინანსებული ბათუმი-ახალციხის (ხულო-გოდერძის მონაკვეთი) გზის პროექტი

ბ) დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **ზაზა სიმონიას** საკოორდინაციო პროექტები;

ბ.ა) აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაფინანსებული საგზაო კორიდორის საინვესტიციო პროგრამა (RCIP);

ბ.ბ) ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ - დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი საქართველო ა/ზ;

ბ.გ) ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაფინანსებული საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი;

ბ.დ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ - დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი (EWHICP);

გ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გივი ჩოჩიაშვილმა**, ასევე SRAMP-ის პროექტის ფარგლებში;

გ.ა) გურიის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესებისა და მოვლა-შენახვის-SRAMP/CW/ICB-01 კონტრაქტის და აღნიშნულთან დაკავშირებული ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურების SRAMP/CS/QCBS-01 კონტრაქტის ფარგლებში დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა **კარლო ლეკვეიშვილმა**;

გ.ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გივი ჩოჩიაშვილმა**;

გ.გ) ამ ქვეპუნქტის „გ.ა“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ-ტექნიკურმა მდივანმა **ნუგზარ გასვიანმა**;

დ) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მე-2 პროექტის (SLRP II);

დ.ა) შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტი კახეთის რეგიონში - SLRPII/CW/ICB-10 და აღნიშნულთან დაკავშირებული ზედამხედველობის

საკონსულტაციო მომსახურების SLRPII/CS/QCBS-05 კონტრაქტის ფარგლებში საერთო კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გივი ჩოჩიამ**, ხოლო დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს დეპარტამენტის საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა **კარლო ლეკვეიშვილმა**;

დ.ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გივი ჩოჩიამ**;

დ.გ) გარდა ამ ქვეპუნქტის „დ.ა“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პროექტის კოორდინაცია და დოკუმენტაციის ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ-ტექნიკურმა მდივანმა **ნუგზარ გასვიანმა**;

ე) მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მე-3 პროექტის (SLRP III):

ე.ა) საგზაო ქსელის შეფასება და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონში, შედეგზე და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის განსახორციელებლად - SLRPIII/CS/QCBS-06 კონტრაქტის და აღნიშნული პროექტის ფარგლებში შიდა გზებისთვის მიკროსაწარმოების შექმნის თაობაზე ტექნიკურ - ეკონომიკურ კვლევებთან დაკავშირებული კონტრაქტების საერთო კოორდინაცია განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გივი ჩოჩიამ**, ხოლო აღნიშნული კონტრაქტების (მათ შორის გასაფორმებელი) ფარგლებში დოკუმენტაციის ვიზირება განახორციელოს საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსმა **კარლო ლეკვეიშვილმა**;

ე.ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გივი ჩოჩიამ**;

ე.გ) გარდა ამ ქვეპუნქტის „ე.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პროექტის კოორდინაცია და დოკუმენტაციაზე ხელმოწერა განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ-ტექნიკურმა მდივანმა **ნუგზარ გასვიანმა**.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე-ტექნიკურ მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ან/და მათი დაფინანსების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებაზე საკოორდინაციო უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 იანვრის №33 ბრძანება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

.